ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6938419

ნომერი: AR11023722

თარიღი : 15.03.2024

გაცემის თარიღი : 18.03.2024

გაცნობის თარიღი : 19.03.2024

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , თბილისი, ლუბლიანას ქუჩა N50;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაზა ბასილაძე პ/ნ 41001006464
- ბულაჩაურის ქუჩა

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს პოუერ-გრუპ 2000
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405168027
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: შერიფ სადეკ ფაჰმი გრეის
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01591003896

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 4996550
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 23.06.2020

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 15 მარტის №AR11023722 განცხადებით მომართა ზაზა ბასილაძემ და ქ. თბილისში, ლუბლიანას ქ. №50-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.13.01.018.174) სამსახურის 2020 წლის 23 ივნისის №4996550 ბრძანებით შეთახმებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, მშენებლობის ნებართვის გაცემა მოითხოვა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) 2023 წლის 21 თებერვლის №192 ბრძანებით დაკმაყოფილდა თეიმურაზ არევაძის წარმოადგენლის, გიორგი კვირიკაშვილის 2022 წლის 25 ნოემბრის №19/012223291270-01 და 2022 წლის 9 დეკემბრის №19/01223432129-10 ადმინისტრაციული საჩივრები, ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 23 ივნისის №4996550 ბრძანება და სამსახურს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.
ვინაიდან, ამ ეტაპზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) 2023 წლის 21 თებერვლის №192 ბრძანება არ არის შესული კანონიერ ძალაში, მისი აღსრულების ფარგლებში სამსახურის მიერ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა არ მომხდარა.
ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია 2020 წლის 23 ივნისის №4996550 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვის გაცემის შესაძლებლობას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.